ცნობის ფურცელი

№ 2470 კვირა, 18 აპრილი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2470

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე-—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაკობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

გაზეთი „ცნობის ფურცელი" 1 აპრილიდან წლის დამლევამდე ურათებიანის დამატებით ღირს 5 მან.

კისაც ჟურნალ-გაზეთის ფული სრულად არა აქვს შემოტანილი, რედაქცია სთხოვს 1 მაისამდე გამოგზავნოს უეჭველად ხვედრი შემოსატანი, რომ გამოცემათა გზავნა არ მოესპოთ.

ქართული თეატრი

კვირას, 18 აპრილს ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა

I. ნაოხარზე

სცენები თანამედროვე ცხოვრებიდან 3 სურათად ვ. გუნიასი.

II. დარისპანის გასაჭირი

სცენა 1 მოქმ. დ. კლდიაშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარელი, ა. კარგარეთელი, ა. რონელი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნი: ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

(3—6.—3) ამხანაგობის გამგე ვალ. გუნია.

დაბა ბორჯომში იძლევა ქირით საზაფხულოდ „ვარანცოვის პარკში"

ბუფეტი

ხუთი ოთახით; ერთი ორ ოთახიანი სააგარაკო ბინა ბუფეტებით, კიოსკებით, როჟონდებით და სხვა მოწყობილობებით. ბუფეტი რიგიანად და წესიერად არის მოწყობილი თელი სერვიზით; ოთახები მორთულია ყველა საჭირო მებელით. ბაღში არის ბანის-ხევიდან გამოყვანილი წყლის შადრევანი. დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება ბორჯომის სადგურის ბუფეტში. (4—4)

Feriencolonien. „პატარა-ცემი"-ს Colonie des vacances.

საზაფხულო სამყოფი

ექიმის ვახტანგ დ. დამბაშიძისა

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის,

ბაკურიანის რკინის გზაზე, ბორჯომის მახლობლად, მთა ადგილზე, ფიჭვნარში, 4,400 ფუტის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლ-ნაკლენი, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭირის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, და ნოყიერი სახრდო, ყოველგვარი ვარჯიშობა, წყლით ექიმობა და სხვა.

არ მიიღებიან მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელისამე მიზეზისა გამო მთა ადგილს ყოფნა არ არგებს.

ვადა: ორი თვე, 15 თიბათვიდან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებითი ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად წერილობით შეიძლება მიჰმართონ ექიმს ვ. დამბაშიძეს, თბილისი, ნიკოლოზის ქ. № 46. (0—2)

ძმ. ნიკიტინების ცირკში

კვირას, 17 აპრილს, ოთხი ჭიდაობა ერთ საღამოს: 1 კავკასიური ჭიდაობა ცერაძისა და რუაიშვილს შორის. პრემია 25 მან. მე-2 ჭიდაობა ჯიბგირსა და გაბოტიშვილს შორის. პრემია ვერცხლის საათი გამარჯვებულს. მესამე ჭიდაობა მოყვარულთა შორის და მეოთხე ჭიდაობა პატარა მოჭიდავეთა არტურსა და ალექსანდრეს შორის. ბოლოს გაიმართება პანტომიმა დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. გ. მალალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათამდე.

ვ. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ. ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

არ. ვ. სობოლევსკი.—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ბ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ბ. მ. მანსვეტოვ.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საშაბ. სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ვ. ვ. სობოლევსკი.—ქირურგია და ორთოპედია. შაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მალალაშვილი.—შინაგ., ბავშვ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ლის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

ქუთაისში

კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი

(აპოთეკის შესახვევი, საკუთარი სახლი)

მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ჩასმა. (30—140—4

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0 38)

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

ქუთაისში

ექიმი ს. ი. გეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთიშვილისა.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12— საათ საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

იძლევა

ქირით რესტორანი ოთხის წლის ვადით. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ მოიჯარადრეს გარსევან გიორგ. რატიანს, სიონის ქ., ანანოვის ქარვასლა, ზევითა სართული. (3—160—2)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 აპრილი

პეტერბურგი. 16 აპრილს პეტერბურგი დახვდა ჩემულპოს გმირებს. ცოტა ცუდი ამინდი იყო, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა. ნევის პროსპექტზე საპარადო მუნდირებში ჯარი იყო გამწკრივებული. მთელი გვარდია ქვეითად იყო. სადგურთან გამწკრივდნენ ფლოტის მეზღვაურნი. გმირების დასახვედრად შეიკრიბნენ წმ. გიორგის ორდენის მქონენი და ადმირალები გენერალ-ადიუტანტის აველანის მეთაურობით. მოვიდა უავგუსტოესი გენერალ-ადმირალი დიდი მთავარი ალექსეი ალექსანდრეს ძე. როდესაც მატარებელი მოახლოვდა, გაისმა ძლიერი „ურა". ოვაციებს დასასრული არა ჰქონდა. პირველმა გამოიარა „ვარიაგ"-ის უფროსმა რუდნევმა; იმას მოსდევდა „კორეეც"-ის უფროსი ბელიაევი. ორივემ რაპორტები მიართვეს უავგუსტოესს გენერალ-ადმირალს. შემდეგ გმირებს მიესალმნენ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და ქალაქის მოურავი, დიდმა მთავარმა წინ ჩაუარა და მიესალმა მოსულ ზღვაოსნებს; აფიცრებს ხელი ჩამოართვა. აღტაცებული „ურა" არ შეწყვეტილა. მეზღვაურნი საზამთრო სასახლეში წავიდნენ და იქ გამწკრივდნენ. ხელმწიფე იმპერატორმა, ხელმწიფე მეჰკვიდრემ და დიდმა მთავარმა წინ ჩაუარეს. ხელმწიფე იმპერატორი მიესალმა გმირებს, მადლობა გადაუხადა და თავის წინ ცერემონიალის მარშით გაატარა. შემდეგ ხელმწიფე იმპერატორისა და უავგუსტოესის წევრთა თანადასწრებით საზამთრო სასახლის გიორგის ზალაში გადახდილ იქმნა პარაკლისი; მერე მეზღვაურები შევიდნენ ნიკოლოზის ზალაში, სადაც სადილი იყო გამართული. ამ ზალაში გამობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი და დიდნი მთავარნი. ხელმწიფემ მადლობა გადაუხადა სამსახურისთვის. აფიცრებისთვის სადილი საკონცერტო ზალაში იყო გამართული. ხელმწიფემ დალია აფიცრებისა და მატროსების სადღეგრძელო. შემდეგ პატივი სცეს „ვარიაგ"-ისა და „კორეეც"-ის აფიცრებს: ქალაქის საბჭომ საგანგებო კრებაზე გადასცა რუდნევს ადრესი და საჩუქრები აფიცრებისთვის. დასასრულ გაიმართა წარმოდგენა სახალხო სახლში, სადაც გმირებს პატივი სცეს აგრეთვე ქალაქმა და თავად-აზნაურობამ.

პეტერბურგი. ნამესტნიკის დეპეშა, მის უდიდებულესობის სახელობაზე გამოგზავნილი 16 აპრილს: „14 აპრილს, ღამე, მოსჩანდნენ მტრის გემები, რომელნიც პორტ-არტურიდან 6 მილის მანძილზე იდგნენ. დილით, ასე 8 საათზე, იაპონიის 10 კრეისერი და 6 ნაღმიანი გემი მოსჩანდა უსურიის ყურეში".

პარიზი. კორესპონდენტთან ლაპარაკის დროს ჩინეთის ელჩმა სთქვა, რომ ჩინეთის მთავრობა ძალიან აფასებს კარგს ურთიერთობას რუსეთთან; პეკინში არა ჰსურთ ომი, მთავრობა იმასა სცდილობს, რომ მცხოვრებთა უკმაყოფილება ჩააქროს; შესაფერი ბრძანებანი უკვე გაეგზავნა ჩინეთის პროვინციების ვიცე-კოროლებს. საშიში ისაა მხოლოდ, რომ მოხელეთა წინააღმდეგ არეულობა არ მოხდეს. ხალხი აღელვებულია საიდუმლო საზოგადოებათა აგიტაციით. ეს საზოგადოებანი მოქმედებენ იმ ადგილების მეზობლად, სადაც ომია.

17 აპრილი

ტოკიო („ვოლფის სააგენტო"). იაპონიის იმ გემების უფროსი, რომელნიც 12 აპრილს მივიდნენ იალუს შესართავში, თავის მთავრობასატყობინებს: „როცა ჩვენი გემები მდინარეში შევიდნენ, რუსების არტილერიამ ყუმბარები დაგვიშინა ნაპირიდან იონამპოს პირდაპირ, მაგრამ ზარალი ვერ მოგვაყენა. მდინარის შესართავთან მოვიდა რუსის ცხენოსანი რაზმი, მაგრამ უკანვე წავიდა, როცა ჩვენმა რაზმმა სროლა აუტეხა. 13 აპრილს 10 რუსმა თოფები დაუშინა ჩვენს ნავებს; მათ პასუხი გასცეს ჩვენმა ნაღმიანმა გემებმა. რუსებმა უკან დაიწიეს; მათ ბევრი ჰყავთ დაჭრილი. ჩვენგანი არავინ არც მოუკლავთ, არც დაუჭრიათ. 13 აპრილს, ნაშუადღევის 5 საათზე, რუსებმა კვლავ დაგვიშინეს ზარბაზნები ანჯუშანიდან. ჩვენ პასუხი გავეცით, ერთი საათის შემდეგ რუსებმა შესწყვიტეს სროლა, რომელმაც ვერავითარი ზარალი ვერ მოგვცა".

ნაგასაკი („რეიტ. სააგენტო"). რუსების გემები, რომელნიც იაპონელებმა დაიპატიმრეს, იაპონიის ფლოტის განკარგულებაში გადავიდნენ. სააპელაციო საჩივრები, რომელნიც სამხედრო დავლის სასამართლოს დადგენილების გამო იყვნენ აღძრულნი, უმთავრესმა სასამართლომ უარჰყო, თუმცა გემების პატრონების წარმომადგენელმა, გამოჩენილმა იაპონელმა ადვოკატმა მასუჯიმამ განაცხადა, ახლანდელი კანონები სამხედრო დავლის შესახებ დაძველდნენო; ეხლა შემთხვევა გვეძლევა ცივილიზაციის სასახელოდ პრეცედენტი შევქმნათ და გემები რუსებს დავუბრუნოთო. სასებოში მყოფი რუსის აფიცრები არ გაუნთავისუფლებიათ.

ჩიფუ. იაპონიის ქვეითა ჯარების ნაწილი 12 აპრილს მდ. იალუს მეორე მხარეზე გადავიდა. პონტონები მდინარეზე იაპონიის ნაღმიანმა გემებმა გააკეთეს. ერთი ამ გემთაგანი რუსებმა დასძირეს. იმავე დღეს იალუზე მოვიდა ადმირალი ნოზაია რამდენიმე საკანონერო ნავით. ამ ესკადრას რუსებმა ყუმბარები დაუშინეს იონამპოსთან, იაპონელებმა პასუხი გასცეს. ეს საკანონერო გემები მხოლოდ ნაწილია იაპონიის იმ ესკადრისა, რომელმაც დახმარება უნდა აღმოუჩინოს იაპონელთ დადუნგოუსთან ან დაგუშანთან ჯარების ნაპირზე გადასხმის დროს. იაპონიის ეს ჯარები უკანიდან უნდა დაეცნენ თავს რუსებს, რომელნიც იალუზე დგანან.

ლონდონი. დამზღვევი საზოგადოება „ლლოიდ" აცხადებს, იაპონიის გემი „გაიომარუ", რომელიც რუსებმა დაღუპეს, ერთი მილიონი მარკა ღირსო და დაზღვეული არ ყოფილაო.

სეული. იაპონელები მდ. იალუზე გადავიდნენ. ჰფიქრობენ, რომ დანარჩენი ჯარებიც 16 აპრილს ღამე გადავლენ იალუს.

პეტერბურგი. ნიკოლოზის დარბაზში ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგის სიტყვებით მიჰმართა „ვარიაგ"-ისა და „კორეეც"-ის მეზღვაურთ: „ბედნიერი ვარ, ძმებო, ჯანმრთელად დაბრუნებულებს რომ გხედავთ. ბევრმა თქვენგანმა თავის სისხლით აღბეჭდა ჩვენის ფლოტის მატიანეში ისეთი საქმე, რომელიც ეკადრება ჩვენის მამაც პაპების, წინაპრების და მამების ხსოვნას,—იმათ ხსოვნას, რომლებმაც საგმირო საქმეები ჩაიდინეს „აზოვ"-სა და „მერკურიი"-ზე. ეხლა თქვენც თქვენის გმირობით მაუმატეთ ერთი გვერდი ჩვენის ფლოტის ისტორიას და წასანდელ გემების სახელებს მაუმატეთ „ვარიაგ"-ისა და „კორეეც"-ის სახელები. ეს სახელებიც უკვდავ იქნებიან. დარწმუნებული ვარ, ყველა თქვენგანი სამსახურის დასრულებამდე ღირსეულად ატარებს იმ ჯილდოს, რომელიც გიწყალობეთ. მთელი რუსეთი და მეც საყვარულათ და მღელვარებით ვკითხულობდით იმ გმირობის ამბებს, რომელიც თქვენ ჩაიდინეთ ჩემულპოსთან ბრძოლის დროს. გულითად გმადლობთ, რომ დაიცავით წმ. ანდრიას დროშას პატივი და ღირსება დიდი და

წმინდა რუსეთისა. გუსურვებ კვლავ გამარჯვებას ჩვენს სახელოვანს ფლოტს. თქვენი სადღეგრძელო იყოს, ძმებო“. შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა ჩამოუარა მეზღვაურთ, რომელნიც სადილობდნენ, და კვლავ მიჰმართა ამ სიტყვით: „კიდევ გმადლობთ, ყოჩაღო ძმებო, გმირობისათვის. დაგიფაროსთ ღმერთმა“. საუზმის დროს საკონცერტო დარბაზში ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „მოგმართავთ თქვენ იმავე მადლობით, რომელიც ამ წუთში მეზღვაურთ გამოუცხადე. „ვარიაგ“-ისა და „კორეეც“-ის ბრწყინვალე გმირობა, სასიქადულო ჩვენის ფლოტისათვის, უნდა მიეწეროს უფროსთა და აფიცერთა ღირსებას. გულით გმადლობთ მოვალეობის პატიოსნად ასრულებისათვის. რადგან მსურს დაუვიწყარ-ვყო ეს გმირობა, ბძანება გავეცი, გამოსჭრან განსაკუთრებული მედალი, რომელიც თქვენ და მეზღვაურებმა უნდა ატაროთ. დეე იყოს იგი მაგალითის მაჩვენებლად შთამომავლობისათვის. გულით ვსვამ თქვენ სადღეგრძელოს. ღმერთმან დაგიფაროსთ!“

პორტ-არტური. 16 აპრილს დილას გამოჩნდა იაპონიის ესკადრა 10 კრეისერისა და 6 ნაღმიანი ნავისაგან შემდგარი. პორტ-არტურში სიწყნარეა.

ვლადივოსტოკი. 10 აპრილს გათენებისას გავიდა ზღვაში კრეისერთა რაზმი ადმირალის ბაირაღით, მივიდა 12 აპრილს დილას გენზანში და გაჩერდა ნავთ-სადგურის შესავლიდან 5 მილის მანძილზე. ადმირალმა გაგზავნა გენზანის ნავთ-სადგურში ორი ნაღმიანი ნავი, რომელთაც უფროსობდნენ ლეიტენანტები ალექსანდრე პელი და დიმიტრი მაქსიმოვი. როცა ნაღმიანი ნავები დილის 11 საათზე ნავთ-სადგურში შევიდნენ, ნახეს იქ იაპონელთა სავაჭრო გემი „კოიომარუ“, წყალწყვით 500 ტონი, და უბძანეს მეზღვაურთ, რიცხვით 30 კაცს, ნაპირზე გადასულიყვნენ. მაქსიმოვმა გადმოიტანა გემიდან ბაირაღები და ქაღალდები, და ნაღმით ააფეთქა და დაღუპა იგი. შემდეგ ნაღმიანი გემები დაბრუნდნენ ესკადრასთან. გენზანში ნაღმიან ნავების ექსპედიციამ 4 საათამდის გასტანა. გენზანში ნაპირზე ჯარი არ სჩანს; ნავთ-სადგური ცარიელია. ესკადრამ იმ დღესვე, საღამოს 6 საათზე, დაინახა იაპონელთ სავაჭრო ორთქლმავალი გემი, საომარ სურსათით დატვირთული წყალწყვით 800 ტონი; გადმოსხეს გემიდან ყველა მეზღვაურნი, 15 კორეიელი და 12 იაპონელი და დაღუპეს გემი პიროქსილინის პატრონით, რომელიც ლეიტენანტმა ბოლოტნიკოვმა ჩასდო მანქანაში. 12 აპრილს, ღამის 11 საათზე, ნავთსადგურ პლიქსინიდან 12 მილის მანძილზე, გააჩერეს იაპონელთა დიდი ტრანსპორტი „კონჩიმარუ“, წყალწყვით 6,000 ტონი, რომელსაც ჩვენი გემები იაპონიის ესკადრა ეგონა და ნიშნებით აცნობა თქვენთვის ქვა-ნახშირი მომაქვსო. ამაზე ნიშნებით უპასუხეს, ადგილიდან არ დაიძრათო. თავისი შეცდომა რომ დაინახეს „კონჩიმარუს“ მეზღვაურნი მივარდნენ ნავებთან და დიდ ორთქლმავალ ნავთან და აქეთ-იქეთ გაიფანტნენ ამ ნავებით; გაქცევა უნდოდათ, მაგრამ ჩვენმა ორთქლმავალმა კატერებმა ყველა დაიჭირეს. გემზე გაგზავნილმა პეტროვისა და რეინის ამფეთქებელთა რაზმმა დაინახა 4 ზარბაზანი 47 მილიმეტრის ყალიბისა, კაცები კი არ დაუნახავს; შემდეგ კარ-ჩაკეტილ კაიუტაში ნახეს 6 ქვეითა ჯარის აფიცერი, რომელთაც წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და დაგვნებდნენ. გემი რომ გაშინჯეს, ტრიუმში 130-ამდე ქვეითა ჯარის კაცი აღმოაჩინეს. უთხრეს, დაგვნებდითო, მაგრამ იმათ უარი განაცხადეს. იმ წამსვე შეატყობინეს ადმირალს, რომელიც 8 კაბელტოვის მანძილზე იდგა, ადმირალმა უბძანა ამფეთქებელთა რაზმს, გემი დაეტოვებინა, როცა კატერი „კონჩიმარუს“ ჰშორდებოდა, ქვეითა ჯარმა სროლა დაიწყო. მსუბუქად დაიჭრა ერთი მატროსი და მესაჭე. შემდეგ ბძანეს, თვით-მავალი ნაღმი გაეშვათ და რამდენჯერმე ესროლათ. ნახევარის საათის შემდეგ გემი დაიძირა. იარაღისა და სურსათის გარდა გემს მოჰქონდა ნაკამურას ესკადრისათვის 2,000 ტონამდე ქვა-ნახშირი. სულ დატყვევებულია 183 კაცი, ამ რიცხვში 17 აფიცერი სხვა-და-სხვა ხარისხისა და რამდენიმე კაცი გამოურკვეველ წოდებისა. საერთოდ ტყვეთა რიცხვი 210-ია. ხმა იყო, რომ ამ დროს იაპონიის მთელი ესკადრა, 10 გემისაგან შემდგარი, ვლადივოსტოკისაკენ მიდიოდაო, მაგრამ არ მისულა იქ და ხშირის ნისლის მიზეზით ასცდა ჩვენ რაზმებს. დატყვევებულთა რიცხვში იაპონიის მთავარ შტაბის ერთი პოლკოვნიკი და ერთი ობერ-აფიცერია. ჯარის კაცთა შორის აქაურმა მცხოვრებლებმა იცნეს ზოგიერთი იაპონელი, რომელნიც ომის დაწყებამდის ვლადივოსტოკში ცხოვრობდენ როგორც ხელოსნები.

(ომის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ხმა დადის, პეტერბურგში პროექტს ადგენენ, რომ რუსის ფლოტმა ქვა-ნახშირის მაგივრად ნავთი იხმაროსო. თუ ეს მოხერხდა, ბალტიის ესკადრა 8 დღით უფრო ადრე ჩავა პორტ-არტურს: მაშინ ეს ესკადრა 40 დღეში ჩავა შორეულ-აღმოსავლეთში („რ. ლ.“).

დიდ ოკეანის ფლოტის უფროსს ადმირალ სკრიდლოვს ფრანგულ გაზ. „ჟურნალ“-ის კორესპონდენტისათვის უთქვამს: „რუსეთის ფლოტის საქმე კარგად ვერ მიდის, მაგრამ მაინც გული არ გამტეხია. პირიქით განსაცდელი სიმამაცეს მმატებს. რაც კი შეიძლება, ვეცდები, რომ გამარჯვებული გამოვიდე. თუ ვერას გავხდები, მაშინ ჩემის დიდებულ წინამოადგილესავით, მეც დავამტკიცებ, რომ რუსის მეზღვაურს რუსეთისათვის თავის დიდება და სიკვდილი არ ეზარება“. („ნ.“).

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, დიდ-ოკეანის ფლოტის შტაბის უფროსის კონტრ-ადმირალ მოლასის გვამი პორტ-არტურს ახლო ნაპირზე გამორიყაო. გვამს ფეხები მოგლეჯილი აქვს, თავიც შუაზე გახეთქილი. ადმირალი მოლასი „პეტროპავლოვსკ“-ზე დაიღუპა. („რ. ლ.“).

ინგლისური გაზეთები იუწყებიან: იაპონიას ამ ჟამად 175 სატრანსპორტო გემი აქვს ჯარებისა, სამხედრო და საკვებ სურსათის საზიდადაო. („ნ. ვ.“).

ინგლისური გაზეთები იუწყებიან: რუსის მზვერავი რაზმი გენზანიდან 100 მილის მანძილზე პაკჩენამდე მივიდა, მაგრამ აქ იაპონელების ძლიერი რაზმი შეჰხვდა და რუსებმა ძალა-უნებურად უკან დაიხიესო. („რ. ლ.“).

ნიუჩუანში რუსის მოხელეებმა ბრძანება გამოსცეს: თუ რომელიმე ლოცმანი იაპონელების გემებს დახმარებას გაუწევს და ნიუ-ჩუანისაკენ წამოიყვანს, მოღალატედ ჩაითვლება და სამხედრო სამართალში მიეცემაო. ეს კანონი ყველა ევროპიელ და ამერიკელ ლოცმანსაც ეხება. უცხოეთის კონსულებმა პროტესტი გამოაცხადეს ამ კანონის წინააღმდეგ, მაგრამ რუსებმა ყურადღება არ მიაქციეს. რუსებმა დეპეშებისათვის სასტიკი ცენზურა დააწესეს. მგზავრებსა და იმათ ბარგსაც სჩხრეკენ. („რ. ლ.“).

„ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელ კორესპონდენტს 10 აპრილს შემდეგი დეპეშა გაუგზავნია პარიზს: „ჩინეთის საელჩო პეტერბურგში ჰფიქრობს, იქნება რუსეთმა და ჩინეთმა ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობა შესწყვიტონო. ირწმუნებიან, ჩინეთის ელჩი წასასვლელად ემზადებაო. ამას გარდა ამბობენ, რუსეთი არაფრის გულისათვის არ დასთანხმდება ინგლისისა და საფრანგეთის შუამავლობას და მორიგებაზე მოლაპარაკებას არ გაჰმართავსო. („რ. ლ.“).

როგორც ვიცით, შორეულ-აღმოსავლეთის ნამესტნიკმა გენ.-ად. ალექსეევმა უცხოელ კორესპონდენტებს პორტ-არტურის ახლო ზღვაში უმავთულო ტელეგრაფის ხმარება აუკრძალა. ეს განკარგულება ნამესტნიკმა ყველა უცხო სახელმწიფოს შეატყობინა. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობამ გამოუცხადა რუსეთის მთავრობას, თუ ამ განკარგულებით შტატების რომელსამე მოქალაქეს რაიმე ზარალი მოუვა, ამერიკის მთავრობა ამ ზარალს სასამართლოს წესით მოითხოვს რუსეთისაგანაო. („რ. ვ.“).

ბერლინიდან დეპეშით ატყობინებენ „ბირჟევია ვედომოსტი“-ს: ევროპაში ათასნაირი ჭორი ვრცელდება რუსეთ-იაპონიის ომზე. მაგალითად, ამბობენ, ვითომ გერმანიის იმპერატორს ვილჰელმ II უნდოდეს, შორეულ-აღმოსავლეთში მყოფი გერმანიის ესკადრა რუსეთის ფლოტს მიაშველოსო. ეს ხმა მეტად უაზრო, სულელური ჭორია. იმპერატორი, რეიხსტაგის დაუკითხავად, მარტო თავის ნებითა და სურვილით ვერ იზამს ამისთანა საქმეს. ეს სულ ტყუილი ხმებია.

გერმანულ სააგენტოს „ჰეროლდ“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: აქ ხმა დადის, ვითომ რუსეთს არგენტინისაგან ორი სამხედრო გემი ეყიდნოს და ამ გემების მოსაყვანად ორი აფიცერი გაეგზავნოს. ამას გარდა ხმა დადის, გერმანიამ რუსეთს რამდენიმე სამხედრო გემი დაუთმოო. ეს გემები კერძ ვერფებზე შენდებოდა გერმანიის ფლოტისათვის. ამ გემებში 8 დიდი ნაღმიანი გემ ურევია. ჯერ ასეთი დიდი ნაღმიანი გემები არსად არ აუშენებიათ. თითოს 560 ტონა წყალ-წყვა აქვს და საათში 32 ვერსს გად. კერძო კომპანიამ დროზე ვერ ჩააბარა ეს გემები გერმანიას, ამით ხელ-შეკრულობა დაარღვია და შემდეგ გერმანიის ნაცვლად რუსეთს მიჰყიდეს გემები. ასე რომ გერმანიას ფორმალურად ნეიტრალიტეტი არ დაურღვევია.

იმავ სააგენტოს ატყობინებენ ნიუ-იორკიდან: რუსის აგენტებმა ნიუ-იორკის ყველა ვერფი დაიარეს; გემების ყიდვა უნდოდათო. („პ. ვ.“).

ის ცნობა, ვითომ რუსეთს გერმანიაში 8 ნაღმიანი გემი ეყიდნოს, რუსეთის დეპეშათა სააგენტომ ამას წინად უარ-ჰყო.

ერთს მოგზაურს ეხლანდელ ომის დროს იაპონიაში მოხუცი დედა-კაცი შეჰხვედრია გზაში. მოხუცებულს უამბნია მოგზაურისათვის: ეს არის ეხლა ჩემი შვილი-შვილი გავისტუმრე ბრძოლის ველზეო. მოგზაურს უკითხავს:

— მერე? ბევრი იტირეთ?

— სულაც არა, უპასუხნია მოხუცებულს. ისიც კი ვუთხარი, დარწმუნებული ვარ, რომ აღარ დაჰბრუნდეპი; მხოლოდ იმასა გთხოვ, შენ თავს გაუფრთხილდე; სანამ ექვს, ან შვიდს მტერს არ მოჰკლავ, უბრალოდ თავს ნუ გაიმეტებ-მეთქი. („პ. ვ.“).

ახალი ამბავი

◆ ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა გუშინ, 17 აპრილს, აცნობა ტფილისის ქალაქის გამგეობას: უსახელო საზოგადოებამ გადასწყვიტა, როცა ელექტრონის სადგურს დავამთავრებთ, ელექტრონის **ტრამვაი გაიყვანოს** ნავთლუხში თუ თვითმართველობა შემდეგს პირობებზე დაგვთანხმდება: 1. განთავისუფლებულ იქნეს საზოგადოება ნავთლუხის ლიანდაგის მოკი წვლისაგან და 2. რადგან ღარიანი რელსები არა გვაქვს, ნება მოგვეცეს უბრალო რელსების დაგებისა, რომელთაც ცალკე გაუკეთდება ღარებიო. საზოგადოების წარმომადგენელი სთხოვს გამგეობას, მალე აცნობოს პასუხი, რომ სამზადისს შეუდგეს.

◆ როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, უსახელო საზოგადოებას, ქალაქთან დადებულ ხელშეკრულობის თანახმად, განზრახვა აქვს მუშტაიდზე ელექტრონის **რკინის გზა გაიყვანოს.** ქალაქის მოურავმა გუშინ სთხოვა გუბერნატორს, უშუამდგომლოს შინაგან საქმე სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ დაჩქარებულ იქნას შუამდგომლობის გადაწყვეტა ქ-ნ ლორთქიფანიძის მიწის ექსპროპრიაციის შესახებ.

ფელეტონი

პატარა ამბები

წინასიტყვაობას მოკლებული ფელეტონი.—ბოდიში, თუ იგი საჭიროა.—შადინოვის ანდერძი.—ქუთაისელი ხმოსნები.—ბნელეთის მოციქულნი.—სოხუმის ნოქრები.—ქართულ თეატრზე.

ყოველი ჩემი საკვირაო ფელეტონი შესავლით მინდა დავიწყო; ამ შესავალში მინდა ვთქვა, რაც სათქმელია, აქ იმალება ჩემი გულის ტკივილი. მერე რასაც ვამბობ, სუყველაფერი სხვათა შორის იწერება. ჩემი სათქმელი ორი-სამი სიტყვით გამოითქმება, მაგრამ უნდა ვილაპარაკო მთელი დღეები, თვეები, წელიწადები და მაინც ვერ ვიტყვი სათქმელს. რას იქმს კაცი! ჩვენ, მწერლები იმ დიპლოტის მცნებას მივსდევთ, რომელმაც სთქვა: ადამიანისთვის მოწყალე ღმერთს ენა და სიტყვა იმისთვის კი არ მიუნიჭებია, რომ ის გამოსთქვას, რასაც მისი გული გრძნობს და გონება ჰფიქრობსო!.. ამ დიპლომატს თუ დაუჯერეთ, რომელიც, უეჭველია, დიდი გამოცდილი და გაწრთვნილი კაცი იქმნებოდა, ადამიანისთვის არც კია მაინცა და მაინც საჭირო სატყვის ნიჭი და შეიძლება კიდეც აჯობებდა, რომ ადამიანი მთლად უსიტყვო და უენო არსება იყოს!

მეორეს მხრით ნუ დავივიწყებთ იმასაც, თუ რა საშინელ განსაცდელში ჩავარდებოდნენ მწერლები, რომ შეეძლოსთ პირდაპირ გამოსთქვან თავისი დარდები და ფიქრები! მაშინ რითი გაავსებდნენ მეთაურებს, ფელეტონებს, კრიტიკულს, პუბლისტიკურ, ისტორიულ, ფილოსოფიურს და სხვა და სხვა წერილებს? ხომ დაცალიერებული იქმნებოდა, გაზეთები; გამომცემელნი ხომ იძულებულნი იქნებოდნენ თეთრი, დაუბეჭდავი ფურცლები გამოეცათ და დაერიგებიათ მკითხველებისათვის დღევანდელ მრავალფრად აჭრელებულ გაზეთების მაგიერ? წარმოიდგინეთ კარგად, რა უბედურება დაგვატყდებოდა მაშინ თავზე!...

განა უბედურება არ იქმნებოდა და წარმოუდგენელი უბედურება, რომ ერთბაშად გავიხედოთ, და აღარ არსებობდეს: არც ავაზაკობა, არც ქურდობა, არც მძარცველობა, არც ერთი-მეორის მოტყუილება, არც კაცის კვლა, არავითარი შეურაცხყოფა, არავითარი დანაშაულობა, არავითარი უსამართლობა! მაშინ ხომ დასანგრევი გახდებოდა ამდენი სასამართლო, სატუსაღო, სადარაჯო? ხომ შიმშილით დაიხოცებოდა ამდენი ადვოკატი, კანდიდატი, ბოქაული, დარაჯი? მაშინ სადღა უნდა წასულიყვნენ მსაჯულები, ვინღა უნდა გაესამართლებიათ?

ქვეყანაზე ბევრი რამ არსებობს, რაიც პირველის შეხედვით გაუგებარია, მაგრამ რასაც დიდი ღრმა აზრი აქვს, თუ კარგად ჩაუკვირდება ადამიანი. ყოველს დანაშაულობასაც თავისი აზრი აქვს...

**

მკითხველთან ბოდიშს ვიხდი: ნუ გამიჯავრდება, თუ ეს ფელეტონი და სხვა ბევრიც წინასიტყვაობას, შესავალს მოკლებულია. წელიწადში მხოლოდ რამდენიმე ბედნიერი დღე გამოერევა, როდესაც მე შემიძლია რამე მივახვედრო მკითხველის გულს, რამე ვუთხრა მის სულსა. გულახდილად აღვიარებ ამას მკითხველის წინაშე, მაგრამ ნუ მიწყენს, რომ ყოველთვის მოსაწონი არა ვარ მისთვის. განა მთელი მისი სიცოცხლე სავსე არ არის ათას გვარის არასასიამოვნო, საწყენის მოვლენით? მხოლოდ ყველაფერს ითმენს ხმის ამოუღებლივ. რა ვუყოთ, რომ ხანდახან ჩემი არა საამო ფელეტონებიც მოითმინოს და აიტანოს!

ვიცი, ჩვენი მკითხველი მეტად გულ-კეთილი ადამიანია, რომელიც ერთნაირის თვალით უყურებს და ერთნაირის გულით ეგებება კეთილსაც და ბოროტსაც, მართალსაც და ბრუნდესაც, ავსაც და კარგსაც, რომლისთვის ერთია შეურაცხყოფა და პატივისცემა, ადამიანური ცხოვრება და დაცემული არსებობა...

ჩვენ ხომ სუყველანი მეტად კეთილნი არსებანი ვართ, მშვიდნი, წყნარნი? ნამდვილ ქრისტიანები, რომელთაც ერთნაირად გვიყვარს მტერიცა და მოყვარეც? მეც თქვენი სისხლი და ხორცი ვარ! საიქიოს რომ წარვსდგებით, იქ განსვენებულნი სულნი სიხარულით მოგვეგებებიან, რომ აგრე გვიყვარდა განსვენება, რომ აგრე მოუთმენლად მივეშურებოდით ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანას და ვიდრე აქ ვიყავით, აქაც მკვდრად ვცხოვრობდით!..

**

რაც არის,—არის; მე მაინც ჩემს ამბებს შევუდგები.

ჩვენს გულკეთილობას არ ჩამოუვარდება ვინმე შადინოვის გულკეთილობა, რომელმაც რამდენიმე მილიონი უანდერძა ქალაქ ტფილისს. შადინოვი გარდაცვლილა და ასეთი ანდერძი დაუტოვებია: სმოლენსკის გუბერნიაში, რამდენსამე მაზრაში მრავალი ადგილი და მამული მაქვს და ყველაფერი ტფილისისათვის მიფეშქაშებია; მართალია, ა ლები სადავოა, მაგრამ ქალაქმა იდავ საქმეს გაუძღვეს, გაანაღდოს და რაც ფულ ამოიღოს, ტფილისში სკოლები, პანსიონები დააარსოს. ბ. შადინოვს მთელი წესდება კი შეუდგენია, თუ როგორ უნდა გაუძღვეს ქალაქი მის ნაანდერძევ ქონებას. გაიგო თუ არა შადინოვის ანდერძის ამბავი, ჩვენის ქალაქის გამგეობა სიხარულით ცას ეწია

◆ დღეს, 18 აპრილისთვის, საკომერციო ანკის სადგომში, ერევნის მოედანზე, დანინულია წლიური კრება **საკომერციო ბანკის** აქციონერებისა. კრებამ უნდა განიხილოს წასულის წლის ანგარიში, აღრიცხვა წლისა, მოხსენება გამგეობისა და სხვა. ამს გარდა უნდა ამოარჩიონ ბანკის საბჭოს წევრი და სარევიზიო კომისიის 5 წევრი.

◆ ტფილისის **საკომერციო ბანკს** და იმის განყოფილებებს 1903 წელს 1,177,219,128 მ. 14 კ. აღებ-მიცემობა ჰქონია. საანგარიშო წელს წმინდა მოგება ბანკისა ყოფილა 285,341 მან. 81 კ. წევრთა დასაჯილდოვებლად და სათადარიგო თანხაში ჩასარიცხად გადადებულია მოგებიდან 42,801 მან. 37 კ., 200,000 მან. აქციის პატრონთა დივიდენდად; 34,032 მან. 44 კ. დივიდენდს ემატება, 4254 მან. 5 კ. ბანკის მოგებისა, ხოლო 4254 მან. 5 კ. ბანკში მოსამსახურეთა სასარგებლოდ გადაიდება.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავმა, საბჭოს დადგენილების თანახმად, წარუდგინა წითელის **ჯვრის** ტფილისის განყოფილებას 15,000 მან.

◆ „**ქ. შ. წერა-კითხ. გამავრცელებელ საზოგადოების**" მინდობილებისამებრ ბ-ნ ა. ხახანაშვილს დაუმთავრებია „ისტორია ქართულის მწერლობისა". საზოგადოების გამგეობამ უკვე მიიღო თხზულება ბ-ნ ხახანაშვილისა და მალე შეუდგება კიდეც გამოცემას.

◆ ქართლ-კახეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭო მომავალ სამოსწავლო წლიდან აარსებს **სამრევლო სკოლას** სოფ. ზღუბირში (გორის მაზრა).

◆ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭოს მიერ წარმოდგენილი განაჩენი სოფ. მსხლებში (გორის მაზრა) **სამრევლო სკოლის** დაარსების შესახებ. ამ განაჩენის ძალით, სოფლის მცხოვრებნი მოვალენი არიან აგონ სკოლის შენობა, აძლიონ ყოველს წელს ექვსი საჟენი შეშა და იყოლიონ თავის ხარჯით სკოლის დარაჯი.

◆ ტფილისის მოურავმა აცნობა გუბერნატორს, რომ **ნაძალადევის** მცხოვრებთა თხოვნა იჯარით აღებულ ქალაქის მიწების გამოსყიდვის შესახებ ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილებასთან ერთად შეტანილ იქნება განსახილველად ქალაქის საბჭოში 19 აპრილსაო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეიწყნარა თხოვნა სახელოსნო სასწავლებლის სამეურნეო კომიტეტისა მოსწავლეთა ფონდიდან 3265 მანეთის გადადების შესახებ სახელოსნოსათვის საჭირო იარაღის შესაძენად.

◆ როგორც აღნიშნული გვქონდა, ტფილისის ქალაქის გამგეობამ ხელშეკრულება დასდო დ. ზ. სარაჯიშვილთან, რომელიც ქალაქის **ხორცის დუქნებს** საკლავ საქონელს აწვდის. რადგან ვადა ხელშეკრულებისა 15 მაისს თავდება, 16 აპრილს კომისიამ დაადგინა, გაგზავნოს დუქნების გამგე ჩრდილოეთ კავკასიაში აქ საკლავ საქონლის ბაზრის შესასწავლად.

◆ 15 აპრილს, საღამოს $6^{1}/_{2}$ საათზე, შემახაში საკმაოდ ძლიერი **მიწის ძვრა მომხდარა.** სახლები არ დაქცეულა და უბედურება არა მომხდარა რა.

◆ **სიღნაღის მაზრის** უფროსმა აცნობა ტფილისის გუბერნატორს, დიდის წვიმების გამო, ის ხევი, რომელიც სიღნაღს ორ ნაწილად ჰყოფს, უფრო ძლიერ ჩამოიქცა, ასე რომ საფოსტო გზის სიგანე ერთ საჟენს ძლივს აღემატება. თუ შემდეგშიაც ასეთი წვიმები იქნება, სიღნაღსა და ტფილისს შუა მიმოსვლა შესწყდება უგზოობისა გამოო.

◆ ქართლ-კახეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭომ მცხეთის ორ-კლასიან სამრევლო სკოლის გამგედ დანიშნა მცხეთის ტაძრის დეკანოზი მ. რუსიშვილი.

◆ ტფილისის ქალაქის ურთიერთ დამზღვევს საზოგადოების გამგეობის თხოვნისამებრ, ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა საზოგადოებისა და დაადგინა, წარუდგინოს განსახილველად იგი ქალაქის საბჭოს.

◆ 21 აპრილისთვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია კრება ტფილისის მოქალაქეთა დეპუტატებისა. კრებამ უნდა განიხილოს 40 საქმე.

◆ ქობულეთი. 16 აპრილს მუშა მატარებელმა № 751 მოასწრო მე-78 ვერსზე დედაკაცს და გასრისა. ვინაობა არ იციან. გარეგნობაზე ეტყობა, რომ ბერძნის ქალი უნდა იყოს.

◆ შორაპანი. 17 აპრილს, ღამე რკინის გზის მუშა ონოფრე ტოროლაშვილი მიმავალ მატარებელზე № 157 უნდა შემხტარიყო, მაგრამ ფეხი აუცდა, ვაგონებს ქვეშ მოჰყვა და მარჯვენა ფეხი და მარცხენა მკლავი მოიწყვიტა.

◆ სოფ. მჭადისჯვარში (დუშეთის მაზრა) დროებით მცხოვრები ზაქარ გუსოშვილი თავის სადგომში დაჭრილი იპოვეს. ბოროტ-განმზრახველნი ვერ იპოვეს.

—

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდება **სურათებიანი დამატება № 211.** შინაარსი: „ტირილი", სურათი გურიის ცხოვრებიდან ნინო ნაკაშიძისა; სურათები აბგარ იოანისიანისა, „ყაზახი რუსები სდევნიან ხუნხუზებს", „რუსის ჯარი იცავს მანჯურიის გზას", „იაპონელი ვოლონტერები" და ერთი კარიკატურა.

აბგარ იოანნესიანი

—

ახლად გარდაცვალებული აბგარ არტემის ძე იოანნესიანი სომეხთა ცნობილი მწერალი და თანაც გამოჩენილი ადგილობრივი საზოგადო მოღვაწე იყო, რომლის დაკარგვა საგრძნობელია არა მარტო ჩვენ მოძმე ერისათვის, არამედ მთელის ტფილისისათვისაც. იგი დაიბადა ტფილისში 1849 წელს, ასე რომ 55 წლისა გარდაიცვალა. პეტერბურგში გიმნაზიის გათავების შემდეგ უმაღლესი სასწავლებელი ლეიპციგში დაასრულა, სადაც პოლიტიკურ ეკონომიის დოქტორობა მიიღო. შემდეგ ამისა იოანნესიანი ტფილისს დაბრუნდა და სიკვდილამდე მოღვაწეობდა სომხურ ლიტერატურისა და ადგილობრივ საზოგადოებრივ ასპარეზზე. 1876 წელს დააარსა ჟურნალი „ნორძ" („ცდა"), რომელიც 1881 წლამდე გამოდიოდა. 1882 წელს დაიწყო ყოველ-დღიურ გაზეთის „არძაგანკ"-ის გამოცემა, რომელიც 1898 წელს იყო დახურული. გარდა ამისა აბგარ არტემის ძემ მე-80 წლებში გამოსცა რამდენიმე გერმანული წიგნი სათაურით „Armenische bibliothek", რომლებით ევროპას გაეცნო სომხურ ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებნი. როგორც საზოგადო მოღვაწე, იოანნესიანი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ტფ. საბჭოს მოღვაწეობაში და ადგილობრივ საფინანსო დაწესებულებებში: ტფ. კომერციულს ბანკში და ტფ. საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში, რომლის გამგედაც იყო 1899 წლიდან. გარდა ამისა აბგარ არტემის ძე მე-80 წლებში სომხურ თეატრის დირექტორად იყო და ამ დროს ბევრი პიესაც სთარგმნა სომხურად; ხოლო 1881 წლიდან 1888 წლამდე სომხურ წიგნების გამომცემელ საზოგადოების თავმჯდომარედ იყო.

ამგვარად, კარგად ნასწავლი და ნიჭიერი იოანნესიანი დაუღალავად იღვწოდა როგორც თავის ერისა, ისე თავის მშობლიურ ქალაქის საკეთილდღეოდ.

საუკუნოდ იყოს მისი ხსენება!

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 აპრილი.

პეტერბურგი. შორეულ-აღმოსავლეთში დაწყებულმა ომმა აღძრა ბევრ ხალხთა შორის, ყველაზე მეტად-კი სლავიანთა ქვეყნებში, უგულითადესი თანაგრძნობა რუსეთის მიმართ. ზოგიერთ ქვეყნების მცხოვრებნი დაჟინებით თხოულობდნენ, მება მოგვეცით რუსეთის ჯარში ჩავეწერნეთ თავისუფალ მეომრებათ იაპონიასთან საბრძოლველადაო. ამგვარი გატაცებული თანაგრძნობის გამოცხადება ღრმად ჩასწვდა გულში რუსეთის ხალხის უმაღლესს წინამძღვარს, რომელიც გულწრფელ მადლობას უთვლის დახმარების მსურველთ და თან ახსოვს, რომ თვითეულ მათგანის სიცოცხლე და მხნეობა მათ სამშობლოსათვის არის საჭირო, ამიტომ ხელმწიფე იმპერატორი შესაძლებლად არ სთვლის იმათ შუამდგომლობას რუსეთის ჯარში თავისუფალ მეომრებად ჩარიცხვის შესახებ.

პეტერბურგი. დაინიშნენ: ვენერალ-ლეიტენანტი ფონ-ნიდერმილერი შორეულ-აღმოსავლეთის სანამესტნიკოს მებრძოლ ჯარის სარკინისგზო განყოფილების უფროსად; გენერალ-მაიორი ხორკევიჩი მანჯურიის ჯარის გენერალ-კვარტირმეისტრად; 1 რანგის კაპიტანი ებერგარდტი ჯავშნიან გემის „ცესარევიჩ"-ის უფროსად.

ტოკიო („რეიტ. სააგ."). კრეისერ „როსსია"-ს ნაღმით დაღუპულ სატრანსპორტო გემ „კინშიომარუ"-ზე დაიღუპა 78 იაპონელი, მათ შორის მრავალი დაიხრჩო. ღამის $11^{1}/_{2}$ საათზე „კინშომარუ" ნისლის გამო მხლებელ ნაღმიან გემებს დაშორდა და შეხვდა რუსეთის ესკადრას, რომელმაც შეჩერების ნიშანი მისცა. კრეისერი „როსსია" იაპონიის გემს მიუახლოვდა და საზღვაო აფიცრებს უბრძანა, ჩვენ გემზე გადმოდითო. რუსებმა იაპონიის გემი გასინჯეს და აღმოაჩინეს ორი როტა სალდათები, რომელნიც გემის ძირში იყვნენ დამალულნი. „კინშიუმარუ"-ს ნაღმი შუა ადგილას მოხვდა, რის გამოც შუაზე გადაიმტვრა.

ბერლინი. იოკაჰამიდან იტყობინებიან: მას შემდეგ, რაც 12 აპრილს იაპონიის მესამე ესკადრა იალუს შესართავს მივიდა, ამ ადგილას ამ ცოტა ხანებში დიდი ბრძოლაა მოსალოდნელიო. ორშაბათსა და სამშაბათს ანდუნთან მდგარი რუსები იაპონიის ესკადრას ზარბაზნებს ძრიელ ესროდნენ. მტკიცდება ის ხმა, რომ იაპონელებმა იალუს ნაპირას, მანჯურიაში მდებარე სოფელი კულენჩენი დაიჭირესო. გენზანში მოვიდა ნავი, რომელმაც იაპონიის დაღუპულ გემ „კინშიომარუ"-დან გადარჩენილი 54 სალდათი მოიყვანა.

გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელობაზე 17 აპრილს გამოგზავნილი: „გენერალი ზასულიჩი მატყობინებს, რომ 15 აპრილს საღამოსა და ღამე არაფერი არ მომხდარა. იაპონელები პატარა გემებით იალუს მარჯვენა ნაპირს გადმოდიან. იალუს შესართავთან იაპონელების გემები მოდიან. 15 აპრილს შუადღის 2 საათზე იონამპოდან ი-ჩჟუს მიმავალი იაპონიის ჯარი შევნიშნეთ. სინდიაგოუს სამხრეთით, მთაზე იაპონელთა მზვერავი რაზმი მოსჩანდა. იაპონელებს მოქმედება ჯერ არ დაუწყიათ".

პარიზი. რამდენიმე დიდად გამოჩენილ დიპლომატებთან ხანგრძლივ და საინტერესო ბაასიდან გამოირკვა, რომ რუსეთს შეუძლიან ავსტრო-ჰუნგრეთის რუსეთისადმი გულწრფელ სიმპატიას ენდოს და ბალკანეთში საქმის გამწვავების შიში არ იქონიოს, რადგან ავსტრიას არა სურს ომით ისარგებლოს და რუსეთს საქმე გაუძნელოს. ავსტრიის სიმპატია რუსეთისკენაა; რუსეთმა უნდა დაუჯეროს ავსტრიის მიერ გამოთქმულ გულწრფელ მწუხარებას „პეტროპავლოვსკ"-ის დაღუპვის გამო.

ინგლისის მეფის სურვილი ინგლისისა და რუსეთის დაახლოვების შესახებ თან-და-თან ირკვევა.

16 აპრილი.

პეტერბურგი. რადგან ისარი სწორედ არ იყო დაყენებული, ბალტიის რკინის გზის სადგურზე სახალხო მატარებელი № 22 გადავიდა სხვა ლიანდაგზე, სადაც დაეჯახა ცარიელ ვაგონებს. მცირედ დაშავდნენ რკინის გზის მოსამსახურენი ნოე მოზერიუსი და დეპოს სამი მუშა. მძიმედ დაშავდნენ ცარიელ ვაგონებში მყოფნი, გლეხები ტროფიმოვი, მასლოვი და კუზნეცოვი. დაზიანდა ორთქლ-მავალი და ცხრა ვაგონი.

ნეაპოლი. ლუბემ დაათვალიერა საფრანგეთისა და იტალიის ესკადრები. შემდეგ ლუბე გა-

---

ნიერებაც, ციდან ჩამოვარდნილი ბედნიერებაც ამას ქვიაო, გაიძახოდა და პანაშვიდის გადახდას ემზადებოდა შადინოვის სულის საცხონებლად. მალე აფრინეს სმოლენსკში ქაღალდი ნამდვილის დაწვრილებით გასაგებად. მაგრამ... იქიდან სმოლენსკის ერობამ მოკლედ აუწყა ჩვენს გამგეობას, რომ შადინოვის ქონება მხოლოდ ქაღალდზე სწერია და ნამდვილად ერთი ნაჭერი მიწაც არ მოეპოვება შადინოვს სმოლენსკის გუბერნიაში.

ახლა ჩვენი ქალაქის ხმოსნები იცინიან, იცინიან მადიანად და ამისთვისაც მადლობას სწირავენ განსვენებულს შადინოვს: აცხონოს ღმერთმა, გული მაინც კარგი ჰქონიაო.

**

„დაჭრილის ირემს ცრემლები სდის, ური ცქრიალებს; რა ვუყოთ, რომ ეს ყანა ასე ტრიალებს"! თქვა შექსპირმა. ნიან ტფილისის ხმოსნები, სტირიან ქუთაისის ხმოსნები.

ქუთაისელები მეტად დაღონებულნი არიან: ხმა გავრცელდა, რომ ქუთაისის სასულიერო სემინარია სოხუმში ან ბათუმში უნდა გადაიტანონო. დასაბამიდან ოცნებობდნენ ქუთაისელები ამ სემინარიაზე, როგორც იყო ეღირსათ და ეხლა უნდა გამოეთხოვონ კიდეც? სწორედ რომ სამწუხარო ამბავია. შეწუხდნენ ქუთაისელები, შეწუხდენ მათი „მამები"— ხმოსნები. შეიკრიბნენ, ილაპარაკეს, იფიქრეს, საქმეს როგორ უშველოთო და ბოლოს თავის ძველებურ საშუალებას მიმართეს (ამ საშუალებითაც თხოულობდნენ რკინის გზას): არჩეულ იქნას დეპუტაცია, რომელმაც იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არის, რომ სემინარია ქუთაისში იქმნას დატოვებულიო...

ღმერთმა კარგად აუსრულოს ქუთაისელებს ყოველივე სურვილი და ნატვრა, მაგრამ არ შემიძლია არ ვსთქვა, რომ მათ დიდის ილიუზიებით და ოცნებებით უყვართ ცხოვრება. ასეთი ილიუზიები არც ერთის მხრით არ ვარგა: არც მარცხნით, არც მარჯვნით...

ერთი პატარა კურიოზი ქუთაისის ცხოვრებიდან: ბ. ლაღიძემ მუქთად განათებას ჰპირებს ქუთაისელებს, მაგრამ გამოჩნდა რამდენიმე ხმოსანი, რომლებიც წინააღუდგენ მის წინადადებას. რატომ? ადამიანი ვერ წარმოიდგენს, რომ ამაზე უფრო მეტად ვინმე ეტრფიალებოდეს სიბნელეს!

**

სიბნელის ასეთი მოტრფიალენი ყოფილან აგრეთვე ს. კიკნაველეთში (იმერეთში). ამ სოფელში ყ. კიკნაველიძის შემწეობით 1903 წ. დაარსებულა სამინისტრო სკოლა, სადაც უფასოდ ასწავლიდენ ბავშვებს. მაგრამ გავარდა ხმა თუ არა სკოლის დაარსების შესახებ, ბნელეთის მოციქულებმა ასტეხეს ერთი ვაი-უშველებელი და დაუწყეს ხალხს დარიგება: „არ გაგიწყრესთ ღმერთი, ბავშვები სკოლაში არ შეიყვანოთ, თორემ ყველას გლეხებად და ყმებად ჩაგრიცხავენ და სამუდამოდ გადასახადს დაგადებენო". გასჭრა მათმა ჭორებმა და მართლაც, ორმოც ბავშვში, რომლებიც მიიღეს, ოცის მეტი არ გამოცხადდა სასწავლებელში.

ხოლო ყოველს ბოროტებას და სიბნელეს დასასრული აქვს, როგორის ძლიერებითაც უნდა იყოს იგი შემოსილი. ხალხი მიუხვდა დღეს კიკნაველეთის „გულშემატკივრებს" და „პატრონებს", ძლიერ ნანობენ და მწარედ გაიძახიან: როგორ შევცდით, როგორ დავკარგეთ წელიწადი და შვილები სკოლაში არ შევიყვანეთო!

ბნელეთის მოციქულნი მაინც თავისას არ იშლიან თურმე, მაგრამ ცხადია, თუ გამარჯვება ვის დარჩება:—მათ, თუ სინათლის გამავრცელებელ სკოლას.

**

ასეთი გამარჯვება მოელისთ სოხუმელ ნოქრებსაც, რომელნიც დღეს მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან. ყველგან ეშველათ ნოქრებს ცოტაოდენ, ხოლო სოხუმელი ნოქრები ისევ ძველებურად და ჩვეულებრივად ეწევიან თავის მძიმე უღელს. სხვა არა იყოს რა, სმა-ჭამის თავისუფლებაც კი დაუკარგავთ. სოხუმელ ნოქარს ნება არა აქვს, ის სჭამოს და სვას, რაც მოესურვება, არამედ ის უნდა „მიირთვას", რაც მის „ხაზეინს" ნებავს. საქმე ისაა, რომ ვაჭრებს თავის ხარჯზე ჰყავთ ნოქრები და რაც უნდათ და როგორც უნდათ, ისე აჭმევენ. სასმელ-საჭმელთან ბინასაც აძლევს თავის ნოქარს ვაჭარი, მაგრამ ისეთს ბინას, რომელშიაც ძალად თუ შეიყვან ადამიანს, თორემ თავის ნებით არავინ შევა. აი, მაგალითად, ერთი ასეთი ბინა: რესტორან-სამიკიტნოს უკან „ნომრებია"; ერთ ამ ნომერთაგანში სცხოვრობს ათი თუ თორმეტი ნოქარი. ოთახი გრძელი და ვიწრო, შიგ მზის შუქი არასოდეს არ შეატანს. კრაოტები ერთი-ერთმანეთზე ისეა მიკრული, რომ მათ შორის კაცი ძლივს გაივლის. ამ სადგომის სხვა ოთახები სულ საეჭვო ხალხით არის სავსე. „მე სამი ბინა დავათვალიერე ნოქრებისო, იწერება კორესპონდენტი, და სამივე ამაზე უარესი იყოო". მოსვენება და თავისუფალი დრო სრულებით არა აქვთ ნოქრებს. მართალია, კვირა-უქმეში რამდენიმე საათი შეწყვეტილია ვაჭრობა, მაგრამ ამ დროსაც ნოქრები დამწყვდეულნი არიან მაღაზიებში და ალაგებენ საქონელს...

ძველი ამბავია, მაგრამ კიდევ ახალია და ახალი!

სიტყვა

დავიდა ჯავშნიან კრეისერს „მარსელ“-ზე და წავიდა საფრანგეთის ესკადრის თანხლებით.

17 აპრილი

კიევი. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე გლეხის ქალის დარია სერედასი, 15 წლისა, რომელმაც ცულით მოჰკლა მოხუცი გლეხი პელეხა. ოლქის სასამართლომ გადაუწყვიტა 18 წლის შესრულებამდე მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენში უთვმა.

პეტერბურგი. სესტრორეცკის კურორტში სეზონი იწყება 1 მაისს.

ბერლინი. სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში მიდის დამატებითი რაზმი, რომელიც შესდგება 20 აფიცრისა, 18 უნტერ-აფიცრისა და 114 ჯარის კაცისაგან.

პარიზი. საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატა დრეიფუსის საქმის გამო ხალხის დაუსწრებლად ჩვენებას ართმევს სხვა-და-სხვა მოწმეებს

17 აპრილი.

ადესა. 16 აპრილს დასრულდა საქმე ოდესის სამხედრო სასამართლოში მიცემულ აკერმანის სამხედრო უფროსის პოდპოლკოვნიკის ანდრეანოვისა, მოქალაქე როზენბლატის და სათადარიგო ჯარის კაცის ბოლოტოვის შესახებ. სასამართლომ, გენერალ-მაიორ სტანისლავსკის თავმჯდომარეობით დამნაშავედ იცნო ანდრეანოვი, რომელსაც მექრთამეობისათვის, ფულების გამოტყუებისათვის, ყალბი ქაღალდების შედგენისათვის და თავის უფლებათა გადაჭარბებისათვის მიუსაჯა $2^1/_2$ წლით გამასწორებელ სატუსაღო განყოფილებაში გაგზავნა, ჩინების, ორდენების და ყველა განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორმევა; ამას გარდა სასამართლომ დაადგინა, გარდახდეს მას 2,345 მან. დაჭრილთა შესახებ ალექსანდროვის კომიტეტში გადასაცემად. ანდრეანოვის შესახებ გადაწყვეტილებას ხელმწიფე იმპერატორს წარუდგენენ. მოქალაქე როზენბლატი და სათადარიგო ჯარის კაცი ბოლოტოვი დამნაშავეებად იცნეს მონაწილეობისათვის და მექრთამეობისათვის და ჯარიმა მიუსაჯეს: როზენბლატს 300 მან. და ბოლოტოვს—100 მან.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

დოქტორი მედიცინისა

ვლ. ივ ინაშვილი

მიიღებს შიგნეულით, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ დღისით 1—2 ს. და საღამოთი 5—8 ს.-მდე. ალექსეევის ქუჩა № 7. მიხაილოვის ქუჩის დასაწყისი. (10—125—6)

შემთხვევით იყიდება

სახლი,

ერთ სართულიანი, მე-9 ნაწილში, თუმანოვის შესახვევში № 34. მიწა 140 საჟ. შემოსავალი სახლისა 51 მან. თვეში. ვალი ბანკისა 3175 მ. ბანკს გარდა 2200 მან.

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ იქვე მამულის პატრონს

ნატალია ბარძემიშვილს (1—163—1)

ევალდ იანკოვსკი

კაფელის ფეჩები, ლუმელები.

სამზარეულოს პლიტები რკინისა და კაფელისა.

ფაიანსის ნაჭრები კედლებისათვის ფასები 25 მანეთიდან.

გამართვა აგურის ფეჩებისა და პლიტებისა.

საწყობი: ტფილისი, მიხეილის ქ. № 157.

(30—2) **ტელეფონი № 281.**

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

სამხ.-სამკ. აკადემ. პრივ.-დოც. პ. თ. ფედოროვისა, თარგმ. კბილის ექ. ი. პ. ახალშენიშვილისა. **ისყიდება:** „ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ“ და „წიგნ. გამომც. ქართ. ამხ.“ წიგნის მაღაზიასა და კიოსკში და მთარგმნელთან (ელისაბედის ქ., № 38). ვინც ნაღდ ფულად 100 ცალზე არა ნაკლებს დაიბარებს, 40% დეთმობა. წიგნაკს დართული აქვს 7 ნახატი (ორი ფერადი), შეიცავს 124 გვ. და ღირს 40 კაპ. (0—6.—5)

·სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ფირფიტები აპპარატები

უმაღლესის ხარისხისა

ყველას აკრავს ფაბრიკის მარკა „მწერალი ამური“.

კავკასიის უმთავრესი სააგენტო

სააქციონერო საზოგადოებისა გრამმოფონ

ტფილისი, გოლოვინის პროსპ., აბიანცის სახლი № 17.



კონკურენციის გარეშე!!

გრამმოფონი „ტონარმ“ მემბრანით „ექსიბიშენ“

მემბრანის „ექსიბიშენ“-ის მეოხებით გრამმოფონი-ტონარმ იმდენად გაუმჯობესდა, **რომ ამ** სახის აპპარატები

მთელს!! დედამიწაზე საუკეთესოა!!

უმთავრესი ღირსებანი „ტონარმისა“ „ექსიბიშენის“ მემბრანით შემდეგია:

ხმის გარკვევით გადაცემა!! თითქმის სრული უხმაურობა!! ხმის სიმშვენიერე!!

გრამმოფონ „ტონარმ“-ს „ექსიბიშენის“ მემბრანით ოთხი ტიპი აქვს

100 მანეთიდან 200-მდე.

მოყვარულთა განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენს ფირფიტებზე

„გიგანტ“,

რომელნიც ძალიან მოსწონთ. ამ ფირფიტების დიამეტრი 12 დიუიმია, რაც ნებას იძლევა ამ ფირფიტაზე მოქცეულ იქმნას მთელი არიები, ანსამბლები, საცეკვაო ხმები და სხვა **შეუმოკლებლად!!!**

ამ ფირფიტების დიდ დიამეტრის გამო, ჩვენმა ინჟინერებმა შესაძლოდ დაინახეს ხმის გაძლიერება, გამშვენიერება, გარკვევით გადაცემა; ამასთანავე დაცულია **ადამიანის ხმის ბუნებრივი ტემბრი**. ერთის სიტყვით ფირფიტა **„გიგანტი“** ადამიანის ხმას სავსებით გადასცემს, ასე რომ ცოცხალი მომღერალი გეგონება.

დიდი რეპერტუარი—15 ათასი დამზადებული ნომერი სხვა და სხვა ჟანრისა; ამათ ვუმატებთ ყოველ ორ კვირაში ახალ სერიების გამოცემათ; ამასთან **„გრამმოფონის“** საზოგადოება ჰყიდის მხოლოდ სრულიად უნაკლულო ფირფიტებს ტეხნიკისა და მუსიკის მხრით.

ტეხნიკური სიკარგე ჩვენის აპარატებისა და შესანიშნავის ხმის ფირფიტისა, რომელნიც გადასცემენ მსოფლიოს გამოჩენილ მომღერალთა ხმებს, მთელს ჩვენს წარმოებას აყენებენ

◆ **კონკურენციის გარეშე** ◆

კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნება. ეხლახან გამოვიდა და ისყიდება **ლიბრეტოების მთელი კრებული** გრამმოფონებისათვის. რუსული რეპერტუარი. ეს ლიბრეტო შეიცავს თითქმის 600 ნომერს ოპერისა და ოპერეტის არიებისას, რომანსებისას, სიმღერებისას, ანსამბლებისას, ხოროებისას, კუპლეტებისას და ამბებისას. ამ კრებულის მეოხებით ყოველს მსმენელს შეეძლება გაიცნოს ხმები, რომელთაც გრამმოფონი ასრულებს. ფასი 1 მან. 50 კაპ. (20—2)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება დასურათებული **ღია ბარათები** ჩვენ **მწერალთა** და **მსახიობთა.** ფასი თითო 5 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(50—14). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე**

სამკურნალო ვანები და წყალსასხური

წყალსასხური ცხელი და ცივი. ტემპერატურა ყოველნაირი და 4 ატმოსფერის სიმძიმემდე. **წყლის სხურება შოტლანდიური, შარკოსებური** და სხვა გვარი. სავსე ვანები, ნახევარ ვანები; ვახები ჩასაჯდომი და ფეხთათვის სასურველ გრადუსისა. ჰაერ გამომშრალი და **ორთქლის ვანები** სხვა-და-სხვა ექსტრაქტებისაგან. **წყლის** გადავლება, დასველება და შეხვევა გერმანიაში ცნობილ ჰიდრაპატის **კნეიპისა** და სხვათა სისტემისამებრ.

ეს სისტემა მე შევისწავლე თვით კნეიპისაგან და მოწმობაც მაქვს იმისაგან მიღებული. ვანები და სხურება არჩენს **ქარებს, მოშლილ ნერვებს, ქსენას, მუცლის შეკვრას, სისუსტეს, თავის ტკივილებს** და სხვას. მოწყობილება საუკეთესოა და თვალ-ყურსაც თვითონ ვადევნებ. მოთავსებულია სახაზინო პალატის გვერდით; შესავალი ხაზინის ქუჩიდან. **გ. ი. ცოვიანოვი.** (10—164—1)

ვერმორელის პულვერიზატორების ფაბრიკისაგან ვილფრანშში (საფრანგეთში).



ბოლო ხანებში ბაზარზე გაჩნდა ბევრი პულვერიზატორი, რომელიც გარეგანად ძალიან წააგავს ჩემ პიერ გამოგონილსა და ყველასაგან ცნობილ მრავალ წლობით გამოცდილ პულვერიზატორებს სახელწოდებით "ECLAIR". ამისთვის გამოვაცხადებ, რომ ნამდვილს, ჩემს ფაბრიკაში მომზადებულს, პულვერიზატორს „ეკლერ“-ს შემდეგი წარწერები აქვს ფრანგულად: რეზერვუარს ECLAIR VERMOREL (იხ. სურ. № 1) და აპპარატში—VERMOREL VILLEFRANCHE (Rhone) Bté S. G. D. G. (იხ. სურ. № 2), ხოლო სახურავზე, როგორც მე-3 სურათზეა ნაჩვენები, წარწერილია VERMOREL Bté S. G. D. G.



სურათი № 1



სურათი № 2

ყველა აპპარატები, რომელნიც ჩემსას წააგავენ, მაგრამ ნაჩვენები წარწერები არა აქვთ, ყალბებია.

მთელს რუსეთში ერთად ერთი ჩემი წარმომადგენელი არის **მ. ე. ფრიდონოვი.** მისი ადრესი: ტფილისი, სერგიევსკი ქუჩა, № 11. (10—3)



სურ. № 3

უმთავრესი საზოგადოება

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11) საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმას მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის დასასხდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისში, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—2)

საათის საწყობი

იულიუს გენესი

ტფილისი, დვორცოვი ქუჩა.

მივიღეთ მრავალი საათი—კედლისა და სტოლის ყოველთვის მრავლადა გვაქვს ყოველგვარი ს ჯიბისა შვეიცარიის საუკეთესო ქარხნებისა. საწყობი ჰკ რულობს აგრეთვე საათების შეკეთებას, რაიცა სწრაფა და პირიანად სრულდება. ფასი ყველა საქონელზე ზომიერია.

პრეის-კურანტი მოთხოვნილებისათანავე მსურველს უსასყიდლოდ ეგზავნება. (25—6.—23)

Доз. ценз. Тифлисъ 17 Апрѣля 1904 г. ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ის.). (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.)